

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის
დადგენილება №23

2008 წლის 18 სექტემბერი

ქ. ქუთაისი

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კომისიამ დაადგინა:

1. (ძალადაკარგულია - 27.05.20, №22) დამტკიცდეს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები“ (დანართი №1).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 04.06.2020 წ.

2. (ძალადაკარგულია - 27.05.20, №22) დამტკიცდეს „ლიცენზირების წესები“ (დანართი №2).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 04.06.2020 წ.

2¹. დამტკიცდეს „ერთიანი ანგარიშგების პირობები“ (დანართი 2¹).

[2¹. (ძალადაკარგულია 2022 წლის 1 იანვრიდან - 30.03.21, №7)].

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.08.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 07.04.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 29.06.2021 წ.

3. (ძალადაკარგულია - 27.05.20 №22) დამტკიცდეს „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში გასაცემი სალიცენზიო მოწმობის ფორმა და მისი აღწერილობა“ (დანართი №3).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 04.06.2020 წ.

4. დამტკიცდეს „გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ჩამოწერის შესახებ“ (დანართი №4).

5. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლიცენზირების წესები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილება (სსმ III, 31.08.1999წ., №41 (48), მუხლი 737).

6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე გ. ჩალაგაშვილი

დანართი №1 (ძალადაკარგულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 04.06.2020 წ.

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები“ (შემდგომში „წესები“) ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის (შემდგომში „მეწარმე“), მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა, რომლებიც ახორციელებენ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ისეთ საქმიანობას, რომელიც შესაბამისი კანონის საფუძველზე არ წარმოადგენს ლიცენზირებად საქმიანობას და განსაზღვრავს აღნიშნულ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.



2. მეწარმე ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების სათანადოდ შესრულება.

3. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“), რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმებას, ასევე მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენასა და კანონმდებლობით დადგენილი ზომების გამოყენებას.

4. კომისია, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობის რეგულირების მიზნებისა და ძირითადი პრინციპების შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად გამოსცემს სამართლებრივ აქტებს. კომისიის მოთხოვნები, ასევე მის მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტები სავალდებულოა შესასრულებლად ყველა იმ პირისათვის, რომლებიც ახორციელებენ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქმიანობას.

5. ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც ეს განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 2. მოთხოვნები და პირობები

1. მეწარმე ვალდებულია დაიცვას „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, აღნიშნული კანონის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები, ასევე ეს წესები და კომისიის სხვა მოთხოვნები. მათი დარღვევა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. მეწარმე ვალდებულია, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობა წარმართოს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტების, მათ შორის, კომისიის მიერ მიღებული დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა და სხვა სახის მოთხოვნების შესაბამისად. მეწარმე ასევე ვალდებულია:

- ა) მის მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებები იქონიოს სათანადო მდგომარეობაში და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური ნორმები და პირობები;
- ბ) აღრიცხოს თავის საშუალებებში გატარებული ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის რაოდენობა;
- გ) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური;
- დ) უზრუნველყოს კომისიის მოთხოვნების სათანადოდ შესრულება.

3. თუ პირი ეწევა სხვა სამეწარმეო საქმიანობას, იგი ვალდებულია ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობა, მათ შორის, შემოსავლების, ხარჯებისა და საფინანსო შედეგების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად და კომისიას ინფორმაცია წარუდგინოს განცალკევებულად, თითოეული საქმიანობის მიხედვით – ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი საქმიანობის მიხედვით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 3. ანგარიშგება

1. მეწარმე ვალდებულია, კომისიას ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე წარუდგინოს წლიური ანგარიშგება, კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ერთიანი ანგარიშგების ფორმის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მომავალი წლის სამუშაო გეგმას.
- ბ) ტექნიკურ ანგარიშს (მათ შორის, წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის, ავარიების და მათ აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ), რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სათანადო კომპეტენციისა და უფლებამოსილების მქონე პირის მიერ (წარმოების საშუალების ფლობის შემთხვევაში);
- გ) კომერციულ ანგარიშს;
- დ) მომსახურების ხარისხის ანგარიშს;
- ე) გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული შერჩევითი შემოწმების შესაბამის აქტს



(საქართველოს კანონმდებლობით, ასეთი აქტის არსებობის მოთხოვნის შემთხვევაში);

ვ) გაფორმებულ ხელშეკრულებებს (კომისიის მიერ ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში);

ზ) სხვა ინფორმაციას, რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

2. მეწარმის მიერ კომისიისათვის წარსადგენი წლიური ანგარიშგება, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, შესაბამისი საქმიანობიდან გამომდინარე, დამატებით უნდა შეიცავდეს:

ა) მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისთვის – საინვესტიციო პროგრამას და მისი შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, ასევე ინფორმაციას წყლის რესურსების საპროექტო და ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯის (მ3 /კვტ.სთ) შესახებ;

ბ) ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებისთვის – ბუნებრივი გაზის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებებით (მათ შორის, მიმწოდებლის მიერ ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე და მის მიერ სხვა მიმწოდებელსა თუ მომხმარებელზე ბუნებრივი გაზის გაყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები) გათვალისწინებული მოცულობების, ფასების, ვადების, ბუნებრივი გაზის ხარისხისა და ამ ხელშეკრულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას.

3. წლიური ანგარიშგება კომისიას უნდა წარედგინოს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული „ერთიანი ანგარიშგების პირობების“ შესაბამისად. „ერთიანი ანგარიშგების პირობები“ წარმოადგენს წესების შემადგენელ-განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.08.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 17.12.2018 წ.

მუხლი 4. კონტროლი განსაზღვრული პირობების შესრულებაზე

1. მეწარმის მიერ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე გამოცემული აქტების სათანადოდ შესრულებაზე კონტროლს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს კომისია.

2. ამ წესების მიზნებისათვის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე გამოცემული აქტების სათანადოდ შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება:

ა) საქმიანობის – მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებით;

ბ) შერჩევითი შემოწმებით.

3. შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მეწარმის საქმიანობის შემოწმების წინადადებით კომისიას შეიძლება მიმართოს სხვა სახელმწიფო ორგანომ.

4. მეწარმის მიერ მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების კომისიისათვის დროულად წარდგენაზე კონტროლს ახორციელებს კომისიის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

5. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების წარდგენა ან გასწორება (შევსება), ასევე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. თუ მეწარმე სათანადოდ არ შეასრულებს კომისიის მოთხოვნას ან/და კომისიას არ წარუდგენს მოთხოვნილ ინფორმაციას დადგენილ ვადაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

6. კომისიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია ყოველი წლის 1 ივლისამდე კომისიას წარუდგინოს იმ მეწარმეთა ნუსხა, რომელთაც მომსახურების პირობების დაცვის შესახებ სრულყოფილი ანგარიშგება კომისიაში წარადგინეს დროულად ან არ წარადგინეს ან/და წარადგინეს იგი არასრულყოფილად (ინფორმაციის წარმოუდგენლობის მიზეზის მითითებით).

7. მეწარმის შემოწმება შეიძლება განხორციელდეს კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე და მის შესაბამისად. კომისია უფლებამოსილია, მომსახურების პირობების შემოწმება ხელშეკრულების საფუძველზე, განახორციელოს კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ, მათ შორის, აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.

8. შერჩევითი შემოწმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს:

ა) შემოწმების მიზანი, თარიღი და შემოწმების პერიოდი;

ბ) შემოწმებელი ან შემოწმებელთა ჯგუფი (ჯგუფის ხელმძღვანელის მითითებით), რომელმაც უნდა განახორციელოს შემოწმება;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი უფლებამოსილი პირი (ან პირთა ჯგუფი);

დ) სხვა პირობები, რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

9. მეწარმეს შემოწმებისას უნდა წარედგინოს შემოწმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება და თანდართული მეწარმის უფლებებისა და მოვალეობების წერილობითი ჩამონათვალი.



10. შემმოწმებელი ან შემმოწმებელთა ჯგუფი ვალდებულია:

ა) შემოწმება განახორციელოს შემოწმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად;

ბ) შემოწმების დასრულების შემდეგ კომისიას წარუდგინოს შემოწმების აქტი (ცნობა);

გ) შემოწმებაში ხელის შეშლის, ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და სხვა სახის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

დ) კომისიას მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია განსაზღვრულ ვადაში დარღვევის გამოსწორების ან გამოუსწორებლობის შესახებ;

ე) დაიცვას და უზრუნველყოს ადმინისტრაციული წარმოება, ასევე განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ქმედებები, ვიდრე არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას მოცემულ საკითხზე.

11. კომისიის მიერ შემოწმების აქტში (ცნობაში) მოცემული ინფორმაციის შესწავლისა და გამოვლენილი გარემოებების კომისიის მიერ დადასტურების შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია შეიტანება რეესტრში მომსახურების პირობების შემოწმების შესახებ.

12. (ამოღებულია - 26.08.2016, №18).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.08.2016 წ.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა პირობების დარღვევისათვის

მეწარმის მიერ ამ წესებით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. დამრღვევს კომისიის მიერ უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

დანართი №2 (მაღადაკარგულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 04.06.2020 წ.

ლიცენზირების წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ლიცენზირების წესები ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ლიცენზიის მაძიებელი და ლიცენზიის მფლობელი მეწარმე სუბიექტისთვის, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა.

2. ლიცენზირების წესები განსაზღვრავს ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან გაუქმების, ასევე მისი შესრულების უზრუნველყოფის წესებს, პირობებსა და პროცედურებს.

3. ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ლიცენზიების გაცემას, მათში ცვლილების შეტანასა და გაუქმებას, ასევე სალიცენზიო პირობების განსაზღვრასა და მათი შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“).

4. ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში იკრძალება ლიცენზირებას დაქვემდებარებული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიის გარეშე. დაუშვებელია კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის მემკვიდრეობით ან სხვა სახით გადაცემა.

5. კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია:

ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;

ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;

გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

6. კომისია, ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის რეგულირების მიზნებისა და ძირითადი პრინციპების შესრულების უზრუნველსაყოფად, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად გამოსცემს სამართლებრივ აქტებს; კომისიის მოთხოვნები, ასევე მის მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტები ლიცენზიატისთვის სავალდებულოა შესასრულებლად – მათი შეუსრულებლობა განიხილება როგორც სალიცენზიო პირობების დარღვევა.

7. ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც ეს განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებით.

8. წინასწარი ლიცენზიის გაცემა წარმოებს „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“



საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 2. ლიცენზიის სახეები

1. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში კომისიის მიერ გაიცემა შემდეგი სახის საქმიანობის ლიცენზიები (შემდგომში – ლიცენზია):

- ა) ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია;
- ბ) ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზია;
- გ) ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია;
- დ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია;
- ე) ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია;
- ვ) ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია;
- ზ) წყალმომარაგების ლიცენზია.

2. ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით (უვადოდ).

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობა არ საჭიროებს ლიცენზირებას „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ და „ჯ¹“ ქვეპუნქტების საფუძველზე გამოცემულია შესაბამისი სამართლებრივი აქტი;

ბ) აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 3. სალიცენზიო მოწმობა, მისი გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

1. კომისიის მიერ გაცემული სალიცენზიო მოწმობა წარმოადგენს სპეციალური ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ქალაქს, რომელსაც გააჩნია მისი ყალბად დამზადებისაგან დაცვის უზრუნველყოფის სათანადო ნიშნები, მათ შორის, აღრიცხვის სერია და სარეგისტრაციო ნომერი.

2. სალიცენზიო მოწმობა ივსება ქართულ ენაზე.

3. სალიცენზიო მოწმობით განისაზღვრება:

ა) ლიცენზიის მფლობელის ვინაობა;

ბ) იმ საქმიანობის დასახელება, რაზედაც გაიცემა ლიცენზია, მომსახურების გაწევისათვის საჭირო საშუალებების ადგილმდებარეობა და საჭიროების შემთხვევაში – ტერიტორია;

გ) ლიცენზიის გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა, ლიცენზიაში ცვლილებების შეტანის და მისი გაუქმების პირობები.

4. (ამოღებულია - 27.12.12 №24).

5. სალიცენზიო მოწმობის გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს კომისია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესების შესაბამისად.

6. სალიცენზიო მოწმობის შესყიდვას კომისია ახორციელებს დამოუკიდებლად.

7. სალიცენზიო მოწმობა ინახება მის მფლობელთან.

8. სალიცენზიო მოწმობის შევსება ხორციელდება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო გაიცემა ლიცენზიის მფლობელზე ან მის წარმომადგენელზე – რწმუნებულზეა რჩება კომისიაში.

9. ლიცენზიის მიმღები ხელმოწერით ადასტურებს სალიცენზიო მოწმობის მიღების ფაქტს.

10. სალიცენზიო მოწმობის ასლი ინახება კომისიაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 4. სალიცენზიო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

1. სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი (მისი წარმომადგენელი) კომისიას მიმართავს წერილობითი განცხადებით, სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

2. განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში კომისია გასცემს სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს და შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.

3. სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს.

4. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, სალიცენზიო მოწმობის აღდგენამდე განახორციელოს სალიცენზიო საქმიანობა იმ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რომლითაც აღნიშნული ლიცენზიის მფლობელზე გაცემულ იქნა შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.



მუხლი 5. ლიცენზიის მიღების საფუძველი

1. ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მამიებელი უფლებამოსილია კომისიას წარუდგინოს წერილობითი განცხადება კომისიის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად. ამასთან, იგი ვალდებულია განაცხადში სრულად ასახოს კომისიის მიერ შემუშავებული განაცხადის ფორმაში მოცემული საკითხები. განცხადების წარდგენა ლიცენზიის მიღების თაობაზე ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით.

2. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებებს, თუ რომელი სახის საქმიანობის ლიცენზიის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მამიებელი და თანდართული საბუთების ნუსხას.

3. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) იურიდიული პირისთვის ან ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;

ბ) საწარმოს ძირითად საშუალებათა (აქტივების) ჩამონათვალი და შეფასების (აუდიტის) დასკვნა;

გ) წარმოების საშუალებების ფლობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა (ლიცენზიის მამიებლის სამოქმედო არეალის განსაზღვრის მიზნით);

დ) წარმოების საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ე) ქსელში ჩართვის ტექნიკური პირობა:

ე.ა) საქართველოს ელექტროენერჯის გადაცემის ქსელში ჩართვისათვის, გადაცემის ლიცენზიის მფლობელის მიერ გაცემული ტექნიკური პირობა (გარდა ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიისა); ხოლო ელექტროენერჯის წარმოების საშუალებების გამანაწილებელ ქსელთან მიერთების შემთხვევაში, ასევე შესაბამისი გამანაწილებელი კომპანიის მიერ გაცემული ქსელში ჩართვის ტექნიკური პირობა;

ე.ბ) ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვისათვის ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ან განაწილების ლიცენზიის მფლობელის მიერ გაცემული ქსელში ჩართვის ტექნიკური პირობა;

ვ) ელექტრული ან ბუნებრივი გაზის ქსელის სქემა (გარდა ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიისა).

3¹. წყალმომარაგების ლიცენზიის მისაღებად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების გარდა, ლიცენზიის მამიებელმა სალიცენზიო განაცხადთან ერთად კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) წარმოების საშუალებების ფლობის (ამ საშუალებებით სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) ძირითად საშუალებათა (აქტივების) ჩამონათვალი და საწარმოს შეფასების (აუდიტის) დასკვნა.

4. (ამოღებულია - 27.12.12 №24).

5. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში გამოიყენება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი წესები.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 6. ლიცენზიის გაცემის წესი

1. კომისიის მიერ ლიცენზიის გაცემასთან, ცვლილების შეტანასთან ან/და გაუქმებასთან დაკავშირებით საქმისწარმოება მიმდინარეობს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით განსაზღვრული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

2. საჯაროდ გამოცხადება-გამოქვეყნების მიზნით, ცნობა ან/და სხვა სახის საჯარო ინფორმაცია უნდა განთავსდეს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან/და კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და იგი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

4. კომისია 3 დღის ვადაში ამოწმებს ლიცენზიის მამიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების შესაბამისობას ამ წესების მე-5 მუხლის მოთხოვნებთან.

5. განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე კომისია აქვეყნებს ცნობას საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.



6. საჯარო გაცნობისთვის განცხადების წარდგენიდან 20 დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარადგინოს თავისი მოსაზრებები.
7. კომისია წერილობითი მოსაზრების წარდგენის ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა მართავს ზეპირ მოსმენას.
8. კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი ლიცენზიის მაძიებელს.
9. ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია სალიცენზიო მოწმობის მიღებამდე, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, განახორციელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.
10. კომისია ვალდებულია ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ლიცენზია ჩაითვლება გაცემულად.
11. კომისიის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია განახორციელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა, მხოლოდ სალიცენზიო მოწმობის მიღების შემდეგ.
12. ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია, ლიცენზიის გაცემისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს სალიცენზიო მოწმობა. კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს სალიცენზიო მოწმობა.

მუხლი 7. სალიცენზიო მოთხოვნები და პირობები

1. ლიცენზიატი ვალდებულია, სალიცენზიო პირობებიდან გამომდინარე და ამ პირობების შესრულების მიზნით, საქმიანობა წარმართოს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტების, მათ შორის, კომისიის მიერ მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად. სალიცენზიო პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიატი ასევე ვალდებულია:

- ა) წარმოების საშუალებები იქონიოს სათანადო მდგომარეობაში და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური ნორმები და პირობები; ასევე დაიცვას (არ გააუარესოს) მასზე გაცემული ლიცენზიის მისაღებად საჭირო სხვა პირობები და მოთხოვნები;
- ბ) აღრიცხოს თავის საშუალებებში გატარებული ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის რაოდენობა შესაბამისი აღრიცხვის საშუალებების გამოყენებით;
- გ) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური;
- დ) უზრუნველყოს კომისიის მოთხოვნების სათანადოდ შესრულება.

2. ლიცენზიატი ვალდებულია დაიცვას „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავით გათვალისწინებული მოთხოვნები და პირობები, ასევე აღნიშნული კანონის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები, მათ შორის, ლიცენზირების წესები და სალიცენზიო პირობები. მათი დარღვევა გამოიწვევს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ წესების მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

3. ლიცენზიატი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს მინიმალური ღირებულების პრინციპიდან გამომდინარე და დაიცვას შემდეგი ლიცენზიის პირობები შესაბამისი ლიცენზირებადი საქმიანობიდან გამომდინარე:

ა) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატისთვის – უზრუნველყოს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების გამანაწილებელ ქსელში დაშვება, შესაბამისად, უზრუნველყოს გატარების ხელშეკრულებების გაფორმება მოთხოვნისთანავე და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და საცალო მოხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულება კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; ასევე, მომხმარებელთა უწყვეტი ელექტროენერჯით მომარაგების მიზნით, არ გააუარესოს ელექტრომომარაგების საიმედოობის წლიური მაჩვენებლები და უზრუნველყოს მათი გაუმჯობესება.

ბ) ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატისთვის – უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობაზე კონკურენტული გარემოს შექმნა, შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მიწოდებლების დაშვება მის მფლობელობაში არსებულ გამანაწილებელ ქსელში და მიწოდებელსა და საცალო მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის პირობების შესაბამისად. ხოლო, ბუნებრივი გაზის განაწილების ის ლიცენზიატი რომელიც ასევე ეწევა ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობას და ახორციელებს მის მფლობელობაში არსებულ გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის რეალიზაციას, სრულად არის პასუხისმგებელი აღნიშნული



მომხმარებლების ბუნებრივი გაზით უწყვეტ მომარაგებაზე, რაც გულისხმობს მის ვალდებულებას მიიღოს ყველა შესაძლო, გონივრული ზომა მომხმარებლების საუკეთესო პირობებით ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის;

გ) წყალმომარაგების ლიცენზიატისთვის – უზრუნველყოს მომხმარებლისათვის შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მიწოდება და წყალარინება (მათ შორის, ჩამდინარე წყლის იზოლირება, გატარება, გაწმენდა და წყალსატევებში ჩაშვება) საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მდგომარეობაში იქონიოს სასმელი წყლის წყალმომარაგებისა და წყალარინების საშუალებები, განახორციელოს მათი ექსპლუატაცია, ჩაატაროს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჭიროებიდან გამომდინარე შეიძინოს და შექმნას წყალმომარაგების საქმიანობის სრული ციკლით განხორციელებისათვის საჭირო საშუალებები.

4. თუ პირი ფლობს ერთზე მეტ ლიცენზიას ან სალიცენზიო საქმიანობასთან ერთად ეწევა სხვა სამეწარმეო საქმიანობას, იგი ვალდებულია ამ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯებისა და საფინანსო შედეგების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად და ინფორმაცია კომისიას წარუდგინოს განცალკევებულად თითოეული სალიცენზიო საქმიანობის მიხედვით.

5. ლიცენზიატი ვალდებულია, კომისიას ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე წარუდგინოს წლიური ანგარიშგება, კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ერთიანი ანგარიშგების ფორმის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, მომავალი წლის სამუშაო გეგმას, საინვესტიციო პროგრამასა და მისი შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშს.

ბ) ტექნიკურ ანგარიშს (მათ შორის, წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის, ავარიების და მათ აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ), რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სათანადო კომპეტენციისა და უფლებამოსილების მქონე პირის მიერ (წარმოების საშუალების ფლობის შემთხვევაში);

გ) კომერციულ ანგარიშს;

დ) მომსახურების ხარისხის ანგარიშს;

ე) გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული შერჩევითი შემოწმების შესაბამის აქტს(საქართველოს კანონმდებლობით ასეთი აქტის არსებობის მოთხოვნის შემთხვევაში);

ვ) მათ მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს (კომისიის მიერ ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში);

ზ) სხვა ინფორმაციას, რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

5¹. წლიური ანგარიშგება კომისიას უნდა წარედგინოს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული „ერთიანი ანგარიშგების პირობების“ შესაბამისად. „ერთიანი ანგარიშგების პირობები“ წარმოადგენს ლიცენზირების წესების შემადგენელ-განუყოფელ ნაწილს.

6. ლიცენზიატის მიერ კომისიისათვის წარსადგენი ანგარიშგება, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, შესაბამისი სალიცენზიო საქმიანობიდან გამომდინარე, დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) წარმოების ლიცენზიატისთვის – წყლის რესურსების საპროექტო და ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯის (მ³/კვტ.სთ) შესახებ; თბოელექტროსადგურებისთვის ლიცენზიატმა უნდა წარმოადგინოს პირობითი სათბობის საპროექტო ხვედრითი ხარჯი ელექტროენერჯის წარმოებაზე (გ.პ.ს./კვტ.სთ), პირობითი სათბობის ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი ელექტროენერჯის წარმოებაზე (გ.პ.ს./კვტ.სთ) და ხელშეკრულებები სათბობის ნასყიდობაზე (შეასაბამისი სათბობის თბოუნარიანობის მითითებით (კვალ/მ³; კვ/კვ);

ბ) გადაცემის ლიცენზიატისთვის – ელექტროენერჯის საბითუმო აღრიცხვაში გამოყენებული მრიცხველების ინსპექტირების შესახებ;

გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის – მის მიერ დარეგისტრირებულ პირდაპირ ხელშეკრულებებში, ასევე იმპორტის, ექსპორტის და სიმძლავრის სასისტემო რეზერვის უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული მოცულობების, ფასების, ვადებისა და ამ ხელშეკრულებების შესრულების შესახებ; მზადყოფნაში არსებული და გამო-ყენებული (დატვირთული) სიმძლავრის სასისტემო რეზერვის მოცულობების შესახებ (შესაბამისი წყა-როების მითითებით); ნორმალურ და ავარიულ პირობებში ელექტრომომარაგების რეჟიმების დაცვის შესახებ;

დ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატისთვის – ენერგოეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებით შექმნილი აქტივების და მათი საბალანსო ღირებუ-ლებების შესახებ;

ე) ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატისთვის – ბუნებრივი გაზის მომხმარებლების გაზის მოწყობილობების საექსპლუატაციო, საპასპორტო მონაცემებთან და უსაფრთხოების ნორმებთან



შესაბამისობის შემოწმების შესახებ; მის ხელთ არსებული ბუნებრივი გაზის განაწილებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებით, ასევე ბუნებრივი გაზის ნასყიდო-ბაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოცულობების, ფასების, ვადების, ბუნებ-რივი გაზის კალორიულობისა და ამ ხელშეკრულებების შესრულების შესახებ;

ვ) ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატისთვის – ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოცულობების, ფასების, ვადების, ბუნებრივი გაზის კალორიულობისა და ამ ხელშეკრულებების შესრულების შესახებ;

ზ) წყალმომარაგების ლიცენზიატისათვის – საინვესტიციო პროგრამას და ანგარიშს მისი შესრულების მდგომარეობის შესახებ; წყალმომარაგების სისტემაში სასმელი წყლის მიღების ობიექტებისა და წყაროების, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის, წყალმომარაგების ობიექტების დაცვისა და სასმელი წყლის დაბინძურებისაგან თავის არიდების ღონისძიებებისა და დაცვის საშუალებების შესახებ, წყალარინების სისტემის (ჩამდინარე წყლის გატარება და გამწმენდი ნაგებობების) მდგომარეობისა და ჩამდინარე წყლის გამწმენდი საშუალებების შესახებ; ასევე სასმელი წყლით მომარაგების აღრიცხვაში გამოყენებული მრიცხველების ინსპექტირების შესახებ.

7. მეწარმე სუბიექტი, რომელზეც ლიცენზია გაცა საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე ექვსი თვის განმავლობაში, უფლებამოსილია არ წარადგინოს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული ინფორმაცია მომდევნო საანგარიშგებო პერიოდამდე.

8. ლიცენზიატს არა აქვს უფლება, კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე შეწყვიტოს, შეამციროს ან გაზარდოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეწყვეტა ან შემცირება ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო ან/და ტექნიკური ან უსაფრთხოების მიზეზით. აღნიშნული გამონაკლისების გარდა, მომსახურების შეწყვეტის ან შემცირების შემთხვევაში, ლიცენზიატი ვალდებულია, კომისიას წარუდგინოს განაცხადი მომსახურების შეწყვეტის ან შემცირების თაობაზე. კომისიისაგან მომსახურების შეწყვეტაზე ან შემცირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, ლიცენზიატი აბარებს სალიცენზიო მოწმობას. ასეთ შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს ლიცენზიაში ან გააუქმოს იგი.

9. სალიცენზიო და სატარიფო პირობების თანახმად, არც ერთ ლიცენზიატს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გააგრძელოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, თუ მომსახურების მიმღები სხვა ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

10. სალიცენზიო პირობებს წარმოადგენს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავით, ლიცენზირების წესებით, კომისიის ყველა გადაწყვეტილებითა და დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

11. გადაცემის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და წყალმომარაგების ლიცენზიატები ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალში (My.gov.ge). ზემოაღნიშნულმა პირებმა დაინტერესებული პირის მიერ ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე თანხმობის მისაღებად წარდგენილ განაცხადზე პასუხის გაცემა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილ ვადაში. თუ ასეთი ვადა პირდაპირ არაა გათვალისწინებული სხვა ნორმატიული აქტით, პასუხის გაცემა უზრუნველყონ 5 სამუშაო დღეში, იმ დაინტერესებული პირის განაცხადზე, რომელსაც ნაკისრი აქვს ამავე პირების ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე პასუხის ანალოგიურ ვადაში გაცემის ვალდებულება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 17 მარტის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 21.03.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.08.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 17.12.2018 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 15 აპრილის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 18.04.2019 წ.

მუხლი 8. კონტროლი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე

1. ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს კომისია.

2. სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება:

ა) სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებით;

ბ) სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით.

3. ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების კომისიისათვის დროულად წარდგენაზე კონტროლს ახორციელებს კომისიის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.



4. კომისია უფლებამოსილია, ლიცენზიის მფლობელს მოსთხოვოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების წარმოდგენა ან გასწორება (შეცვლა), ასევე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. თუ ლიცენზიატი არ შეასრულებს კომისიის მოთხოვნას ან/და კომისიას არ წარუდგენს მოთხოვნილ ინფორმაციას დადგენილ ვადაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

5. კომისიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია ყოველი წლის 1 ივლისამდე კომისიას წარუდგინოს იმ ლიცენზიატთა ნუსხა, რომელთაც სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ სრულყოფილი ანგარიშგება კომისიაში წარადგინეს დროულად ან არ წარადგინეს ან/და წარადგინეს იგი არასრულყოფილად (ინფორმაციის წარმოდგენლობის მიზეზის მითითებით).

6. ლიცენზიატის შერჩევითი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე და მის შესაბამისად. კომისია უფლებამოსილია, ლიცენზიის პირობების შემოწმება ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელოს კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ, მათ შორის აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.

7. ლიცენზიატის შერჩევითი შემოწმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს:

ა) შემოწმების მიზანი, თარიღი და შემოწმების პერიოდი;

ბ) შემოწმებელი ან შემოწმებელთა ჯგუფი (ჯგუფის ხელმძღვანელის მითითებით), რომელმაც უნდა განახორციელოს შემოწმება;

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი უფლებამოსილი პირი (ან პირთა ჯგუფი);

დ) სხვა პირობები, რომელსაც კომისია მიიჩნევს საჭიროდ.

8. ლიცენზიატს შემოწმებისას უნდა წარედგინოს შემოწმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება.

9. შემოწმებელი ან შემოწმებელთა ჯგუფი ვალდებულია:

ა) შემოწმება განახორციელოს შემოწმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებისა და ლიცენზირების წესების შესაბამისად;

ბ) შემოწმების დასრულების შემდეგ კომისიას წარუდგინოს შემოწმების აქტი (ცნობა);

გ) შემოწმებაში ხელის შეშლის, ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და სხვა სახის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეადგინოს ადმი-ნისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი;

დ) კომისიას მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია განსაზღვრულ ვადაში ლიცენზიატის მიერ დარღვევის გამოსწორების ან გამოუსწორებლობის შესახებ;

ე) დაიცვას და უზრუნველყოს ადმინისტრაციული წარმოება, ასევე განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ქმედებები, ვიდრე არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას მოცემულ საკითხზე.

10. კომისიის მიერ შემოწმების აქტში (ცნობაში) მოცემული ინფორმაციის შესწავლისა და გამოვლენილი გარემოებების კომისიის მიერ დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია შეიტანება რეესტრში ლიცენზიატის შემოწმების შესახებ.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის

1. ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის პირობების დარღვევა, მათ შორის კომისიის გადაწყვეტილებისა თუ დადგენილების, მისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობა, იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. ლიცენზიატს კომისიის მიერ უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

2. კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში ლიცენზიატის მიერ კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას და ლიცენზიატს კვლავ განესაზღვრება ვადა და პირობები მოთხოვნების შესასრულებლად.

3. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ლიცენზიატის მიერ სალიცენზიო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, თუ ლიცენზიატის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი სალიცენზიო პირობების შესრულება (შესაბამის ვადაში), კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ.

5. ლიცენზიის გაუქმების მიუხედავად, ლიცენზიატს კომისიამ შეიძლება მიანიჭოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის გაგრძელების უფლება. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს ვიდრე ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებამ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქმიანობის გაგრძელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ლიცენზიატი ვალდებულია კომისიის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი სალიცენზიო პირობების შესრულება.



7. თუ კომისიის მიერ, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების გამოყენების მიუხედავად, ლიცენზიატის მიერ კვლავ არ იქნება უზრუნველყოფილი კომისიის მიერ მოთხოვნილი პირობების შესრულება, კომისია უფლებამოსილია თვითონ ან მესამე პირის, მათ შორის სპეციალური მმართველის მეშვეობით, ლიცენზიატის სახელითა და ხარჯით, უზრუნველყოს სალიცენზიო პირობების შესრულება.

8. შესაძლებელია ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესი გამოყენებულ იქნეს ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების მიუხედავად, თუ კომისიისთვის წინასწარ ცნობილია, რომ ლიცენზიის მფლობელის მიმართ ჯარიმის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების შესრულებას. კომისია ვალდებულია დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

9. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის, ლიცენზიის გაუქმება, სპეციალური მმართველის დანიშვნა ან/და სხვა სახის ლიცენზირებულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირობების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესისა და საქართველოს-კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სპეციალური მმართველის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სპეციალური მმართველის უფლებამოსილების, საქმიანობისა და ანაზღაურების საკითხები შესაძლებელია ასევე დარეგულირდეს კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

მუხლი 10. ლიცენზიის გაცემის, გაცემაზე უარის და გაუქმების ზოგადი პირობები

1. კომისია ლიცენზიას გასცემს მხოლოდ იმ მეწარმე სუბიექტზე, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობითა და ლიცენზირების წესებით გათვალისწინებულ პირობებს.

2. კომისია არ გასცემს ლიცენზიას, თუ:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს ლიცენზირების წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და კომისიის მიერ დადგენილ ვადაში ისინი არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;

ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;

გ) ლიცენზიის მაძიებელს, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

3. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომისია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დასაბუთებულ უარს ლიცენზიის მაძიებელს.

4. ლიცენზიის გაუქმების პირობას წარმოადგენს ლიცენზიის მისაღებად გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობა, ისევე როგორც ლიცენზირების წესებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევა.

მუხლი 11. ლიცენზიაში ცვლილებების შეტანა, ლიცენზიის გაუქმება

1. ლიცენზიაში ცვლილებების შეტანა ხდება მისი პირობების შესაბამისად, ხოლო გაუქმება – აღნიშნული პირობების დარღვევისთვის. სხვა შემთხვევებში ლიცენზიაში ცვლილების შეტანის ან ლიცენზიის გაუქმების უფლება კომისიას აქვს მხოლოდ ლიცენზიატთან წინასწარი შეთანხმებით; კომისიას უფლება აქვს ლიცენზიაში ცვლილებების შეტანისას, ლიცენ-ზიატს მოსთხოვოს პირველად ლიცენზიაში აღნიშნული პირობებისგან განსხვავებული, მათ შორის, უფრო მკაცრი მოთხოვნების შესრულება.

2. კომისია ლიცენზიაში ცვლილების ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და ლიცენზირების წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

3. ადმინისტრაციული საჩივრის ან სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ლიცენზიის გაცემის, გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება არ შეჩერდება, თუ კომისია ან/და სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

მუხლი 12. სალიცენზიო რეესტრი

1. კომისია აწარმოებს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრს, რომელშიც გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიტანება მონაცემთა ერთობლიობა ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანისა ან გაუქმების შესახებ.

2. კომისია გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში აქვეყნებს ინფორმაციას ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.



3. უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში შეიტანება:

ა) მონაცემები ლიცენზიის მფლობელის შესახებ (საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები, ადგილსამყოფელი);

ბ) ლიცენზიის სახე;

გ) ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი.

მუხლი 13. გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო მოწმობის ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო მოწმობის ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) სალიცენზიო მოწმობის ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო მოწმობის ჩამოწერა ხდება ჩამოწერის აქტების მიხედვით.

3. გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო მოწმობის უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. წყალმომარაგების საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მომხმარებელთა სასმელი წყლის უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, წყალმომარაგების ლიცენზიატები ვალდებული არიან, 2016 წლის 31 დეკემბრამდე კომისიაში წარმოადგინონ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისა და განვითარების სამწლიანი გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის ეტაპზე, სასმელი წყლით მუდმივად მომარაგების უზნების მითითებით, ასევე, წყალარინებისას ჩამდინარე წყლის იზოლირების, გატარების, გაწმენდისა და წყალსატევებში ჩაშვებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის ვადებს.

2. გადაცემის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და წყალმომარაგების ლიცენზიატები ვალდებული არიან 2019 წლის 1 მაისამდე დარეგისტრირდნენ სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალში (My.gov.ge).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 17 მარტის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 21.03.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 15 აპრილის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 18.04.2019 წ.

დანართი 2¹

[დანართი 2¹ (ძალადაკარგულია 2022 წლის 1 იანვრიდან - 30.03.21, №7)]

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.08.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 07.04.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 29.06.2021 წ.

ერთიანი ანგარიშგების პირობები

1. „ერთიანი ანგარიშგების პირობები“ განსაზღვრავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“) ანგარიშგების წარდგენის წესს, პირობებსა და პროცედურებს.

2. პირმა (შემდგომში „მეწარმე“), რომელიც ახორციელებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქმიანობას, კომისიაში ანგარიშგება უნდა წარმოადგინოს კომისიის მიერ დამტკიცებული „ერთიანი ანგარიშგების ფორმების“ შესაბამისად.

3. მეწარმის მიერ კომისიაში ანგარიშგების პერიოდულად წარდგენა ხდება ყოველთვიურად, კვარტალურად და წლიურად. თუ კომისიის აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ყოველთვიური ანგარიში წარმოდგენილ უნდა იქნეს ყოველი საანგარიშგებო თვის დამთავრებიდან 15 დღის ვადაში, კვარტალური ანგარიში (ანგარიშგება) წარმოდგენილი უნდა იქნეს ყოველი კვარტალის დამთავრებიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო წლიური ანგარიში (ანგარიშგება) – 1 აპრილიდან 1 მაისამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 31 ივლისის დადგენილება №18 - ვებგვერდი, 08.08.2019 წ.

4. კომისიაში გამოგზავნილ ანგარიშგებაში ინფორმაცია უნდა აისახოს საწარმოში მიმდინარე პროცესების მაკონტროლებელი პროგრამებიდან/ჟურნალებიდან (გარდა ყოველთვიური ანგარიშისა, რომელშიც ინფორმაცია აისახება საბუღალტრო/სააღრიცხვო მონაცემების მიხედვით). ამასთან მეწარმე ვალდებულია, აწარმოოს იმ პროცესების აღრიცხვა, რომლებიც მოცემულია კომისიის მიერ დამტკიცებული ერთიანი ანგარიშგების ფორმებში, ისე, რომ შესაძლებელი იყოს აღნიშნული პროცესების მაკონტროლებელ ელექტრონულ პროგრამებში ან ჟურნალებში იდენტიფიცირება (საიდენტიფიკაციო ნომრის, რეგისტრაციის ნომრის ან სხვა ფორმის საშუალებით).



5. ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშგება კომისიაში წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით, ხოლო წლიური ანგარიშგება, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით. ელექტრონული ფორმით კომისიაში ანგარიშგების წარდგენა უნდა მოხდეს კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gnerc.org) ატვირთვით ან კომისიაში არსებული ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. კომისიაში ელექტრონული ფორმით ანგარიშგების გამოგზავნა ხდება კომისიაში წინასწარ ავტორიზებული პირის მეშვეობით. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ანგარიშგების მატერიალური ფორმით წარმოდგენაც.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 31 ივლისის დადგენილება №18 - ვებგვერდი, 08.08.2019 წ.

6. ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით, მეწარმესთან კომუნიკაცია კომისიამ შესაძლებელია განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, ტექსტური შეტყობინების წინასწარ ავტორიზებულ პირ(ებ)თან გაგზავნით.

7. მეწარმის მიერ კომისიაში პერიოდულად წარმოსადგენი ანგარიშები (ასევე სხვა ინფორმაცია, რომლის წარმოდგენა კომისიის მიერ მოთხოვნილ იქნა გარკვეული პერიოდულობით) ასახულ უნდა იქნეს კომისიის მიერ დამტკიცებულ ერთიანი ანგარიშგების ფორმებში. ერთიანი ანგარიშგების ფორმები (ასევე ცვლილების შემთხვევაში – კონსოლიდირებული ვერსია საბოლოო სახით) განთავსებულ უნდა იქნეს კომისიის ვებგვერდზე (www.gnerc.org).

8. „ერთიანი ანგარიშგების პირობები“ წარმოადგენს ამ დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობის კონტროლის წესებისა და ლიცენზირების წესების შემადგენელ-განუყოფელ ნაწილს.

დანართი №3 (მაღადაკარგულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 04.06.2020 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში გასაცემი სალიცენზიო მოწმობის ფორმა და მისი აღწერილობა

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში გასაცემი სალიცენზიო მოწმობის (შემდგომში - მოწმობა) ფორმა წარმოადგენს ბამბის ქაღალდის გამოყენებით ორმხრივი ბეჭდვით შესრულებულ ღია ფერის A4 ფორმატის ერთფურცლიან მოწმობას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 მაისის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 27.05.2013 წ.

2. მოწმობის წინა გვერდზე გამოსახულია საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი, წარწერა „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ და ჩანაწერი გაცემული ლიცენზიის თაობაზე შემდეგი მონაცემების შესატანად: სალიცენზიო მოწმობის რეგისტრაციის ნომერი და სერია, ლიცენზიის გაცემის თარიღი, ლიცენზიის მფლობელის დასახელება, ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა, ლიცენზიის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის და წევრების ხელმოწერა, ბეჭდის ადგილი (გამოსახულება თან ერთვის დანართის სახით). მის ბოლო მარჯვენა კუთხეში დაიტანება მოწმობის ბლანკის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს, დამკვეთის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სახელწოდება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები – სფს.

3. მოწმობის უკანა გვერდზე არ სრულდება არანაირი ჩანაწერი,

4. მოწმობა შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) რელიეფურ დამცავ ბადეს;

ბ) ექსკლუზიურ წყლის ნიშნებს, ხილული და უხილავი ფაბრებით;

გ) მოწმობის ბლანკის შუაში უხილავი ფორმით შესრულებულ წარწერას „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, სალიცენზიო მოწმობა“, რომელიც ულტრაიისფერი გამოსხივების ქვეშ ანათებს;

დ) ჭვირნიშანს – სტამბური წესით დამზადებულ პენეტრირებულ წყლის ნიშანს.





საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისია

ლიცენზია

სერია -----

სარეგისტრაციო № -----

(მფლობელის დასახელება)

„ელექტროენერგეტიკისა და ზუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ეძლევა უფლება
განახორციელოს

კომისიის გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც
დაკავშირებულია ლიცენზიატის საქმიანობასთან, წარმოადგენს სალიცენზიო პირობებს, რომელთა
შეუსრულებლობა იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ლიცენზია გაცემა უვადოდ.

გადაწყვეტილება № ----- წლის -----

ბ. ა.

თავმჯდომარე -----

კომისიის წევრები: -----

ლიცენზიის გაცემის თარიღი -----

დამკვეთი: საქართველოს ენერგეტიკისა
და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის № -----

დანართი №4

მკაცრი აღრიცხვის ფორმის ჩამოწერის აქტი №

“-----“ ----- 200 წელი

გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ჩამოწერის შესახებ

№	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახე	რაოდენობა	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სტამბური ნომერი	მკაცრი აღრიცხვის ფორმის სარეგისტრაციო ნომერი
1				



2				
3				

კომისია ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუშების ჩამოწერის სისწორეს.

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე:

წევრები:

მდივანი:

მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:

